



ახალი განათლება

2013 წელი, 7-13 მარტი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

№8 (602) გაგონის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

„მოდით, ერთად მივსვით მათ უკეთესი მომავლის შანსი“



„გუძღვნი ბავშვებს, რომლებიც ქუჩაში ცხოვრობენ და ადამიანების სიბოლო აკლიათ, მეც ერთ-ერთი იმათგანი ვარ, ვისაც აკლდა ბევრი და ყველაზე მთავარი – ოჯახური სიბოლო, განათლება და პირობები. მეც მინდა თქვენნაირი ვყოფილიყავი, ჩვეულებრივი წევრი. მე დღეს მათი სახელით გელაპარაკებით, იმ ბავშვების, ვინც ცხოვრობენ ჩვენგან შორს, ქუჩაში, ოჯახში ან ბავშვთა სახლში და რომელთაც გული სტიკვით იმის გამო, რომ არ არიან ისეთები, როგორც ყველანი, რომელთაც სულ პატარა სიბოლო და ადამიანური ყურადღება ენატრებათ, მაგრამ იმედით აგრძელებენ ცხოვრებას იმის იმედით, რომ გაჩნდებიან ერთ დღეს მათ ცხოვრებაში ადამიანები, ვინც ხელს მოკიდებენ და გზის გაკვლევაში დაეხმარებიან. ეს ადამიანები თქვენ ხართ. მოდით, ერთად მივცეთ მათ უკეთესი მომავლის შანსი, რადგან მხოლოდ თქვენი მხარდაჭერით შეიძლება მოხდეს სასწაული მათ ცხოვრებაში.“ – ეს წერილი პავლე კონდრატევის ეკუთვნის, რომელმაც ფოტოკოლაჟი მიუძღვნა „ამ სასწაულის“ მომლოდინე ასობით მონყალეების მისაღებად ქუჩაში გამოსულ თანატოლს.

გვერდი 2



რობორ მოვემზადოთ ერთიანი ეროვნული გამოსვლებისთვის

გეორგია

გვერდი 3-8

სუსიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი აცხადებს ღია კონკურსს

გვერდი 9



გთავაზობთ ტესტების კრებულს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს



ნიბნი I – კველი ქართული მწერლობა;
ნიბნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
ნიბნი III – XIX საუკუნის მწერლობა.

ავტორები:
თამარ ბელიტაშვილი,
ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

- ◆ კრებულში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;
- ◆ მათი მეშვეობით გაზიარდებით საპროგრამო ტესტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;
- ◆ სწორი პასუხების შემთხვევაში შედეგად თქვენ გაქვებთ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;
- ◆ თქვენ შექვებთ დაქლით ყველა საგამოცდო სირთულა.

კრებულების შეკენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295-80-23, 790 95-80-23, 577 13-22-83





„მოდიო, ერთად მივსაო მათი უკეთესი მომავლის განსა“



ლალი ჯეჟაძე

სამსუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში სიღარიბე რომ კვლავ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად რჩება, ქუჩაში გავხვდებით ამას ყოველგვარი სტატისტიკის გარეშე იოლად იგრძნობს. რეალობის ამსახველი სტატისტიკა კი, მართლაც, უკიდურესია. სამსუხაროდ, დღეს, საქართველოში 77 ათასი ბავშვია სიღარიბის ზღვარს მიღმა, მათთვის განკუთვნილი მხოლოდ 2 ლარი კი, ბუნებრივია, ცხოვრების ელემენტარულ პირობებსაც ვერ აკმაყოფილებს. „ქუჩის ბავშვების“ ფენომენის გაჩენის მთავარ მიზეზთან – სიღარიბესთან ერთად, ოჯახური ძალადობა, ნარკოტიკის ან ალკოჰოლის მოხმარება, დისფუნქციური ოჯახები სახელდება. შედეგი არასახარბიელოა, მით უფრო, როცა მსგავსი ბავშვების რიცხვი დღით დღე იზრდება.

ევროკავშირის ელჩი ფილიპ დი-მიტროვი აღნიშნავს, რომ „მეტი მოქმედება საჭიროა ქუჩის ბავშვების დასახმარებლად. ევროკავშირი მუდმივად ფოკუსირებულია ყველაზე დაუცველთა უფლებებზე. ევროკავშირი, საქართველოს მასშტაბით, უკვე იცავს ბავშვთა უფლებებს ათი სხვა პროექტის მეშვეობით, რასაც ერთი მილიონი ევრო ხმარდება“.

გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში სამა გრაუმაი აღნიშნავს, რომ: „ქუჩაში მყოფ ბავშვებს არ მიუზღვრებთ ხელი განათლებასა და ჯანდაცვის სათანადო მომსახურებაზე. ისინი ხშირად რეგისტრირებული არ არიან და, შესაძლოა, სხვადასხვა სახის ძალადობის მსხვერპლნიც გახდნენ. ეს ნიშნავს, რომ მათ ნაკლები შანსი აქვთ, გახდნენ აქტიური და განათლებული მოქალაქეები და მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის განვითარებაში. ამიტომაც, აუცილებელია ისეთი პროგრამების ამოქმედება, რომლებიც ამ ბავშვების უფლებებს დაცვენ“.

27 თებერვალს, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, საქართველოს

ევროკავშირის წარმომადგენლობა და გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში ახალი პროგრამა – „**ვიზრუნით ყველაზე დაუცველ ბავშვებზე საქართველოში**“ – წარმოადგინეს. პროგრამა ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს მძიმე გავლენის ქვეშ მყოფ ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს. არასტაბილური ცხოვრების წესის, ჯანდაცვის მომსახურების ხელმოუხვედომობისა და არაადეკვატური საცხოვრებელი პირობების გამო, ეს ბავშვები საზოგადოების ყველაზე დაუცველი ჯგუფია. ამ პროგრამის ფარგლებში კი, მათთვის ქმედითი სახელმწიფო მექანიზმი ამუშავდება. ინიციატივის ფარგლებში, დაიწყება ამ ბავშვების იდენტიფიცირება და მათი კონკრეტულ პროგრამებში ჩართვა.

პროექტი, პირველ წელს, თბილისში განხორციელდება, მეორე წელს კი – ბათუმსა და ქუთაისში. დაახლოებით 700 ბავშვზეა გათვლილი და მათ შესთავაზებს შემდეგ მომსახურებას:

- ◆ შექმნება ოთხი მობულური ჯგუფი, რომლებშიც შევლენ სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები, მოსწავლეები და თანატოლ-განმანათლებლები და შეაფასებენ ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე თითოეულ ბავშვს თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში.
- ◆ დაარსდება ბავშვებზე ზრუნვის ოთხი დღის ცენტრი, რომლებიც ბავშვებს დაეხმარება ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში, შესთავაზებს ფსიქოლოგიურ და სამედიცინო დახმარებას, ხელს შეუწყობს მათ ინტეგრირებას განათლების ოფიციალურ სისტემაში.
- ◆ ამუშავდება სამი 24-საათიანი თავშესაფარი, რომელთა მიზანი ბავშვების ქუჩისგან განრიდება და ნორმალური ცხოვრებასთან ადაპტირება იქნება.

აღნიშნულ ორწლიან ინიციატივას ევროკავშირი აფინანსებს 750 000 ევროთი, ხოლო გაეროს ბავშვთა ფონდი – 100 000 ევროთი. პროექტს ახორციელებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო გაეროს ბავშვთა ფონდთან პარტნიორობით. პროექტის განხორციელებაში ასევე მონაწილეობენ განათლებისა და

მეცნიერების, იუსტიციის, შინაგან საქმეთა, ფინანსთა სამინისტროები და თბილისის მერია. არასამთავრობო ორგანიზაციები – „გორდ ვიფენი“, „კარიტას საქართველო“ და „ბავშვი და გარემო“ ინდივიდუალურ საქმიანობებს მორგებულ სათანადო მომსახურებას შესთავაზებენ.

ინიციატივის ძირითადი ასპექტები დეტალურად გაცნო შეკრებილ საზოგადოებას სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილე **მამუკა მაჭავარიანი**:

„ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმა საქართველოში 2005 წლიდან დაიწყო და რეფორმის ძირითადი მიზანია ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის გაძლიერება და ბავშვთა ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობა. პრიორიტეტულ მიმართულებას დენსტრუქციონალიზაცია წარმოადგენს, რაც გულისხმობს დღეის ბავშვთა სახლების ჩანაცვლებას ალტერნატიული მზრუნველობის ფორმებით და ბავშვების ოჯახურ გარემოში აღზრდას. რეფორმის შედეგად დღეის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში ბავშვთა რაოდენობა შემცირდა – 2004 წელს დაწესებულებებში იყოფებოდა 5200 ბავშვი, ხოლო 2013 წლისთვის მათი რიცხვი 100-მდე შემცირდა. დენსტრუქციონალიზაციის პროექტი 2013 წელს უნდა დასრულდეს. რეფორმის შემდგომი ეტაპი კი ქუჩაში მომუშავე და მცხოვრებ ბავშვებს არიან. 2008 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად საქართველოს დიდ ქალაქებში 1500-მდე ბავშვი ცხოვრობს და მუშაობს ქუჩაში. ზუსტი რიცხვის დადგენა რთულია, რადგანაც უმრავლესობას არ გააჩნია პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. ახალი ინიციატივა, რომელიც ევროკავშირის დაფინანსებით სოციალური მომსახურების სააგენტომ გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით მოამზადა, ამოხვედრავს ბავშვებისათვის, განსაკუთრებით ქუჩაში მომუშავე და მცხოვრებ ბავშვებისათვის მომსახურების სისტემის ჩამოყალიბებას“ გულისხმობს.

ახალი ინიციატივის მიზანია ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისათვის ისეთი მომსახურების ქსელის განვითარება, რომლის საშუალებით ეტაპობრივად მიხდებოდა ბავშვების/მათი ოჯახების ჩანერგვა ბავშვთა დაცვის და სოციალური დაცვის ძირითად სისტემაში.

პროექტის ფარგლებში, შეიქმნება მობილური ჯგუფები, რომლებიც გაერთიანდებიან: სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი/პედაგოგი; დამხმარე მუშაკი (თანასწორ-განმანათლებელი) და მძღოლი/ადმინისტრაციის მუშაკი. მობილური ჯგუფი მოიძიებს ბავშვებს ქუჩაში და სწორედ ისინი დაამყარებენ მათთან პირველად კონტაქტს. მათ უნდა შეძლონ ამ ბავშვების ნდობის მოპოვება და დღის ცენტრებში მოზიდვა. ხოლო შემდგომ დღის ცენტრი უზრუნველყოფს ბავშვების დღის და კრიზისული თავშესაფრის ტიპის მომსახურებას. აქ ბავშვებს საშუალება ექნებათ მიიღონ სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება, დაეკავიან ოფიციალურ

გაეროს მოთხოვნები და, ამავდროულად, ჩაერთონ არაფორმალური განათლების პროგრამებში და სხვადასხვა აქტივობებში. პარალელურად, მუშაობა დაიწყება მშობლებთან, რათა მათ ბავშვების ცხოვრებაში უფრო კონსტრუქციული როლი შეასრულონ. თუ მოკლე ვადაში შეუძლებელია ოჯახში დაბრუნება, ბავშვები 24-საათიან ტრანზიტულ მომსახურებაში გადასაცემად მომზადდებიან. 24-საათიანი ტრანზიტული მომსახურების მიზანი კი, იმ ბავშვებთან მუშაობაა, რომლებიც მომსახურების სტაბილურად მიღებისათვის მზად არიან. განისაზღვრება თავშესაფარში ბავშვზე გრძელვადიანი ზრუნვის შესაძლო ფორმები, ასევე, მათი მომზადება ბავშვზე ზრუნვის სისტემაში არსებულ სხვა მომსახურებებში ჩასართავად.

პროექტის ფარგლებში შეიქმნება სათათბირო საბჭო, რომელიც გახდება მცხოვრებ და დაბრუნებული ბავშვების მიმღებ/ზედამხედველი მთავარი ორგანო. სათათბირო საბჭო განიხილავს შემუშავებულ სტრატეგიას, სამოქმედო გეგმას, ჩაერთვება ყველა იმ საკითხის განხილვაში, რომელიც დაკავშირებული იქნება უწყებათაშორის თანამშრომლობაზე. სათათბირო საბჭოს შემადგენლობაში გაერთიანდებიან: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო; მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო; ფინანსთა სამინისტრო; ევროპულ სტრუქტურულ ფონდში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი; ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში; გაეროს ბავშვთა ფონდი; სახალხო დამცველი; თბილისის მერია; არასამთავრობო ორგანიზაციები. ამ უწყებების წარმომადგენლობით დააკომპლექტდება შესაბამისი სამუშაო ჯგუფები: ქუჩის ბავშვების დოკუმენტაციაზე მომუშავე ჯგუფი; მომსახურების სპეციფიკა, მომსახურების მოქნილი ფინანსური უზრუნველყოფა, საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობა, სპეციალიზებული საგანმანათლებლო პროგრამებით უზრუნველყოფა, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, რეფერირების მექანიზმის აწყობა და სხვ.“

პროგრამის პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო ყველა ზემოთ ჩამოთვლილი უწყება, რომლებმაც ამ მეტად საჭირო პროექტში ჩართვის მზაობა გამოთქვეს.

ყველაზე დაუცველ ბავშვებზე ზრუნვის ახალი ინიციატივა მრავალ ასპექტს მოიცავს და კონკრეტულ შედეგებზეა გათვლილი. მათგან უმთავრესი კი, პირველ რიგში, ქუჩის ბავშვების იდენტიფიცირება და მათი სავარაუდო რაოდენობის დადგენა; პროგრამის ამოქმედება უფრო გამოკვეთავს კონკრეტულ პრობლემებს და მათ გააძაჭის გზებს – ბავშვები დაუზრუნველდებიან თავიანთ ბიოლოგიურ ოჯახებს (სადაც ეს შესაძლებელი გახდება), ხოლო იმ ბავშვებისთვის, რომელთა რეინტეგრაცია არ ხერხდება, განისაზღვრება ალტერნატიული ზრუნვის ფორმები. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შესაძლებელი გახდება მათი უფლებების დაცვა და საზოგადოებაში ინტეგრაცია. პროგრამის საბოლოო მიზანი კი, პრობლემების მართვის მრავალპროფილური სისტემის შექმნაა, რაც მაქსიმალურად აღმოფხვრის ბავშვების ქუჩაში მოხვედრის მიზეზებს, ხელს შეუწყობს მათ, თანაბარი

უფლებებითა და შესაძლებლობებით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას. შექმნილი სისტემა ხელს შეუწყობს ქუჩაში მცხოვრებ მიუსაფარი ბავშვების რაოდენობის შემცირებას. ეს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ამ პატარებისთვის, არამედ თითოეული ჩვენგანისთვის, ვისაც ერთხელ მაინც შეუხვედა ქუჩაში ხელგამწვდილი სევდიანი პატარასთვის, რომელიც საზოგადოების ნაწილისგან თანადგომას იღებს, ნაწილისგან კი – აგრესიას. არადა, მძიმე ყოველდღიური ცხოვრების უკან ძალიან სევდიანი ისტორიები იმალება:

14 წლის უნა: „დედაჩემი და მამი-ნაცვლი მიძულებდნენ ქუჩაში მათხვერებას. როდესაც ვუთხარი, რომ ალარ მინდა ამის გაკეთება, დედამ დამარტყა. მამინაცვლი მთხოვდა, რომ ფული მათთვის მიმეტანა, რადგან სასმელებისთვის და სივარცხისთვის სჭირდებოდა... რა მომავალი შეიძლება ჰქონდეს ჩემსათვის გოგონას. არ მგერა მომავლის, ჩემნაირ გოგონას არ უნდა ჰქონდეს მომავალი. მე არ მყავს ოჯახი, უარს ვამბობ იმ კაცთან ცხოვრებაზე, რომელიც სექსუალურად ძალადობდა ჩემზე, როცა 10 წლის ვიყავი და დედა ამისგან არ მიცავდა.“

უნა ერთი წლის წინ პატრულმა მიიყვანა გლდანის კრიზისული ცენტრის 24-საათიანი თავშესაფარში ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისთვის. მას შემდეგ იქ ცხოვრობს და ამბობს, რომ არასოდეს დაბრუნდება ოჯახში და 18 წლის რომ გახდება, თავად იპოვოს საკუთარ გზას.

18 წლის დათო: „16 წლიდან ვცხოვროვ კრიზისულ ცენტრში. 13 წლის ვიყავი, როცა მარტო დავრჩი, მეზობლებმა ბავშვთა სახლში წამიყვანეს. არ ვიცოდი, დედა სად იყო. ერთ დღეს ვიღაც მოვიდა ციხიდან და დედასთან შესახვედრად წამიყვანა. მას შემდეგ ხშირად მივდიოდი მასთან. 15 წლის ვიყავი, როცა დედა ციხიდან გამოუშვეს. სკოლაში არ დავდიოდი, უმეტეს დროს ქუჩაში ვატარებდი. იმ დღეს, რატომღაც, ვერ კიდევ სახლში ვიყავი, ტელევიზორის ვუყურებდი და ისიც კი მახსოვს, რას ვუყურებდი. დედამ მთხოვა, წყალი მომიტანეო. მოვუტანე და ის უცებ დაეცა. მე ვევიროდი, შველას ვითხოვდი, მაგრამ სასწრაფოდ დახმარების მოსვლამდე დედა გარდაიცვალა. მას შემდეგ არ მენალეულებოდა, სად დავრჩებოდი, საერთოდ არ არაფერი არ მენალეულებოდა. ისევ ბავშვთა სახლში მივედი. ვფიქრობ, ეს სიტუაცია დამეხმარა პრობლემების გადალახვაში.“

დათომ ორჯერ სცადა თვითმკვლელობა. დედის დაკარგვა ძალიან მძიმე აღმოჩნდა, საკუთარ თავსაც კი ადანაშაულებდა, რომ ვერ დაეხმარა. ახლა, როცა მომავალზე ვკითხვებით, ამბობს: „რადგან ღმერთმა აქამდე არ მიმართოვა, ალბათ, მომავალშიც დამეხმარება. მე თითოეული დღით ვცხოვრობ და არ ვიცი, რა იქნება მომავალი“.

ასეთი მძიმე და სევდიანი ისტორიებითაა გაფენილი ქუჩის ბავშვების ყოველდღიური ცხოვრება. მათთვის მომავლის რწმენის დაბრუნებას და ცხოვრების სწორ გზაზე დაყენებას უზრუნველყოფს სწორედ ეს პროექტი.

დაბოლოს, მინდა ისევ პავლე კონდრატეის წერილიდან პატარა ამონარიდი შეგახსენოთ: „*მოდიო, ერთად მივსაო მათი უკეთესი მომავლის განსა*“. რადგან მხოლოდ თქვენი მხარდაჭერით შეიძლება მოხდეს სასწაული მათი ცხოვრებაში“.



გურჯაანის რაიონის ბაკურციხის საჯარო სკოლის დირექტორი და პედაგოგიური კოლექტივი იუნჯებიან, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის მუსიკის მასწავლებელი

თინა ჰრისტინაშვილი
და სამიმარს უცხადებენ განსვენების ოჯახს.



როგორ მოვემზადოთ 2013 წლის ეროვნული პროგრამის განხორციელების გეგმვა

ტესტი იგეგმება გამოცდების ეროვნულ
ცენტრთან შეთანხმებით

შესავალი

2013 წლის საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საკითხები (იხ. საგანმანათლებლო პროგრამა). ავტორიტეტისთვის უნდა წარმოადგინოს თითოეული ტესტური დავალების აღწერა, მასში მითითებული სიზუსტით დაიცვას დავალებათა სწორად შესრულების ტექნიკური და შინაარსობრივი მოთხოვნები.

ბისუქებით წარმართება!

2013 წლის ეროვნული პროგრამის გეგმვა გეგმვაში

გამოცდაზე აპლიკანტს მოეთხოვება:

- ფაქტობრივი მასალის ცოდნა;
- გეოგრაფიული ცნებებისა და ტერმინების ადეკვატური გამოყენება;
- გეოგრაფიული რუკების კითხვა და მოპოვებული ინფორმაციის ინტერპრეტაცია;
- სხვადასხვა ტიპის გეოგრაფიული თვალსაჩინოებების (ფოტოების, გრაფიკების, ცხრილებისა და დიაგრამების) გამოყენებით ინფორმაციის შეჯერება/ანალიზი და მათი მარტივი ანალიზების შექმნა;
- გეოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების დამახასიათებელი ნიშნების გარჩევა;
- გეოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა;
- გეოგრაფიული მოვლენების და პროცესების ანალიზი, მათი შეფასება; საკუთარი მოსაზრებების არგუმენტირების უნარი (აზრის მართებულად, ლოგიკურად და თანამიმდევრულად ჩამოყალიბება).

საგნობრივი კომპეტენცია:

საკითხთა ჩამონათვალი	საკითხის დაზუსტება	შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან
გეოგრაფიის შესავალი		
გეოგრაფიის მეცნიერების შესავალი, სტრუქტურა და კვლევის საგანი	<ul style="list-style-type: none"> • გეოგრაფიის შესავლის ობიექტი და მიზნები; • გეოგრაფიის მეცნიერების სტრუქტურა და ცალკეული მიმართულებების დეფინიციები; • გეოგრაფიის კვლევის მეთოდები: ტრადიციული (აღწერითი, შედარებით-გეოგრაფიული, კარტოგრაფიული) და უახლესი (მათემატიკური, აეროკოსმოსური, გეოინფორმაციული). 	გეო. X.1. გეო. X.2. გეო. X.3.
რუკა და სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოებები	<ul style="list-style-type: none"> • სხვადასხვა ტიპის რუკები (რუკის კითხვა, რუკის ლეგენდა, მასშტაბი, ორიენტაცია, გრადუსთა ბადე, გრძელი და გრძელი, ეკვატორი, პოლუსები, ტროპიკები და პოლარული წრეები, გეოგრაფიული კოორდინატები, ადგილის სიმაღლის განსაზღვრა (აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლეები), საჭირო ინფორმაციის მოძიება და ინტერპრეტაცია, ანალიზი, ამოცანების გადაჭრა); • დავალებების შესრულება ადგილის გეგმისა და ტოპოგრაფიული რუკის გამოყენებით. მოცემული ინფორმაციის სხვა სახით (განსხვავებულ ფორმატში) გამოხატვა; • სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოებების (ფოტო, ნახატი, სქემა, ცხრილი, გრაფიკი, დიაგრამა) გამოყენება, ინფორმაციის ანალიზი, ამოცანების გადაჭრა და მარტივი ანალიზების შექმნა; • საქართველოსა და მსოფლიოს ფიზიკურ-გეოგრაფიული ნომენკლატურა (მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ობიექტები) – მსოფლიო ოკეანის ნაწილები, კონტინენტები და მისი ნაწილები, რელიეფის ძირითადი ფორმები, შიდა წყლები. 	ისტ.გეო. VIII.1. ისტ.გეო. VIII.2. გეო. X.4.
საბუნებისმეტყველო გეოგრაფია:		
პლანეტა დედამიწა	<ul style="list-style-type: none"> • დედამიწის ფორმა და სიდიდე; • დედამიწის დღე-ღამური და წლიური მოძრაობა; • სასაათო ზონები და თარიღთა ცვლის საერთაშორისო ხაზი. 	ისტ.გეო. VII.2.
რელიეფი	<ul style="list-style-type: none"> • ენდოგენური და ეგზოგენური რელიეფწარმოქმნელი პროცესები, რელიეფის ფორმები და ტიპები; რელიეფის გავლენა კლიმატზე და მეურნეობაზე. 	გეო. IX.2. გეო. IX.3.
ამინდი და კლიმატი	<ul style="list-style-type: none"> • ჰაერის ტემპერატურა, ტემპერატურის ცვლილება განედის, აბსოლუტური სიმაღლისა და ოკეანისა და ატმოსფეროს მიხედვით; • ატმოსფერული წნევა; სხვადასხვა გეო ტიპის ქარები, მათი წარმოშობა და გავრცელების კანონზომიერებები (ბრიზი, მუსონი, პასატი, ფიონი); • ატმოსფერული ნალექები, მათი სახეები და გავრცელების კანონზომიერებები (წვიმა, სეტყვა, თოვლი, ნამი, თრთვილი); კლიმატის გავლენა ადამიანზე და მის სამეურნეო საქმიანობაზე (სოფლის მეურნეობაზე, ტრანსპორტზე, მშენებლობაზე). 	გეო. IX.2. გეო. IX.3.
შიდა წყლები	<ul style="list-style-type: none"> • მდინარეები, ტბები, მყინვარები, წყალსაცავები (საზრდობა და რეჟიმი, გავლენა მეურნეობაზე). 	გეო. IX.2. გეო. IX.3.

ბუნებრივი რესურსები	<ul style="list-style-type: none"> • ბუნებრივი რესურსების გავრცელება, მნიშვნელობა, კლასიფიკაცია და რაციონალური გამოყენება (კლიმატური, მინის, მზისა და ქარის რესურსები, სასარგებლო წიაღისეული, ბუნების დაცვა). 	ისტ.გეო. VII.5. გეო. IX.2.
საზოგადოებრივი გეოგრაფია:		
გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვრები	<ul style="list-style-type: none"> • მაკრო, მეზო და მიკრო მდებარეობა. 	გეო. XI.3.
მეურნეობის დარგები	<ul style="list-style-type: none"> • სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მომსახურების სფერო. 	გეო. XI.5. გეო. XI.6.
მოსახლეობის გეოგრაფია და დემოგრაფია	<ul style="list-style-type: none"> • მოსახლეობის დინამიკა და დემოგრაფიული ვითარება ისტორიული წარსულიდან დღემდე, დემოგრაფიული მაჩვენებლები (მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, შობადობის, მოკვდავობის, მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი), მოსახლეობის კვლავწარმოების (აღწერითის) ტიპები და მსგავსება-განსხვავებები ქვეყნების მიხედვით, მოსახლეობის რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური სტრუქტურა (გავრცელება); დემოგრაფიული გადასვლა, დემოგრაფიული პოლიტიკა; • მოსახლეობის გეოგრაფია: მოსახლეობის სიმჭიდროვე, მიგრაცია (ტიპები, მიზეზები და ფაქტორები); განსახლების ტიპები და ურბანიზაცია. 	ისტ.გეო. VIII.3. ისტ.გეო. VIII.4. გეო. XI.5. გეო. XI.6.
მსოფლიოს პოლიტიკური რუკა	<ul style="list-style-type: none"> • მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ფორმირების ეტაპები; • მნიშვნელოვანი გეოგრაფიული აღმოჩენები: კოლუმბი, მაგელანი, ვასკო და გამა. 	გეო. XI.1.
ქვეყნების კლასიფიკაცია	<ul style="list-style-type: none"> • მმართველობის ფორმისა და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის მიხედვით; • სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით (ადამიანის (ჰუმანური) განვითარების ინდექსი, მშპ); • განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები (ჩრდილოეთი და სამხრეთი). 	ისტ.გეო. VII.7. ისტ.გეო. VIII.9. ისტ.გეო. VIII.10. გეო. IX.10. გეო. XI.2. გეო. XI.3. გეო. XI.5.
მსოფლიოს ქვეყნები	<ul style="list-style-type: none"> • მსოფლიოს ქვეყნების მდებარეობა, ბუნება, მმართველობის ფორმა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, მოსახლეობა, მეურნეობა, ეკონომიკური ცენტრები და ეკონომიკური მაჩვენებლები, კულტურული მრავალფეროვნება (აშშ, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, თურქეთი, ჩინეთი, ბრაზილია, ავსტრალია, სარ). 	გეო. XI.5. გეო. XI.6.
საერთაშორისო ორგანიზაციები	<ul style="list-style-type: none"> • გაერო, ნატო, ევროპის კავშირი, ევროპის საბჭო, ნიუილი ჯვარი, სოკი. 	ისტ.გეო. VIII.10. გეო. IX.10. გეო. XI.3.
საქართველოს გეოგრაფია:		
საქართველოსა და კავკასიის მდებარეობა	<ul style="list-style-type: none"> • საზღვრები, ფართობი, ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა, ფიზიკურ-გეოგრაფიული დაყოფა, ადმინისტრაციული დაყოფა, მმართველობის ფორმა; • ევროპა-აზიის შორის საზღვრის გატარების ვერსიები; • საქართველოს; ტერიტორიის ფორმირება უძველესი დროიდან დღემდე. 	ისტ.გეო. VIII.8. გეო. IX.8 გეო. XI.8.
საქართველოს ბუნების კომპონენტები	<ul style="list-style-type: none"> • რელიეფის ძირითადი ფორმები და ტიპები; • ატმოსფეროს ცირკულაციის ძირითადი თავისებურებები; • ჰაერის ძირითადი ელემენტები; • შიდა წყლები (მდინარეები, ტბები, მყინვარები, წყალსაცავები); • შავი ზღვა; ფლორა და ფაუნა; • ნიადაგის ტიპები და გეოგრაფია. 	გეო. IX.2. გეო. IX.3.
საქართველოს ბუნებრივი რესურსები	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს მნიშვნელოვანი რესურსების გეოგრაფია (სათბობ-ენერგეტიკული, შავი და ფერადი ლითონები, სამენი მასალები, მინერალური და თერმული წყლები). 	გეო. IX.2.
გარემოსდაცვითი პრობლემები და სტიქიური მოვლენები	<ul style="list-style-type: none"> • ატმოსფეროს, წყლის და ნიადაგის დაბინძურება; • მიწისძვრა, მენყერი, ზვავი, ლვარცოფი, წყალდიდობა, სეტყვა. 	გეო. IX.2. გეო. IX.3.
ბუნების დაცვა	<ul style="list-style-type: none"> • დაცული ტერიტორიები, დაცული ტერიტორიების ტიპები, შექმნის მიზეზები და მიზნები, მნიშვნელობა და დაცვის განსაკუთრებული ობიექტები, ნიუილი წიგნი. 	გეო. IX.4.
საქართველოს მოსახლეობა	<ul style="list-style-type: none"> • მოსახლეობის საყოველთაო აღწერა; • მოსახლეობის რაოდენობა და დინამიკა, ტერიტორიული განლაგება; • ქალაქებისა და სოფლების გეოგრაფია, ურბანიზაცია; • დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესები; • მოსახლეობის სტრუქტურა (სქესობრივ-ასაკობრივი, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური). 	გეო. IX.5. გეო. IX.6.
საქართველოს მეურნეობა	<ul style="list-style-type: none"> • მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მომსახურების სფერო. 	გეო. XI.9.
საქართველოს რეგიონები	<ul style="list-style-type: none"> • თბილისი, კახეთი, სამეგრელო და ზემო სვანეთი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, შიდა ქართლი, გურია, აჭარა, აფხაზეთი (მდებარეობა, ტერიტორია, საზღვრები, ბუნებრივი პირობები და რესურსები, მოსახლეობა, ეკონომიკა, ლისსესანიონობები, პრობლემები და განვითარების პერსპექტივები). 	ისტ.გეო. VII.7. ისტ.გეო. VIII.9. გეო. XI.2.

ლიტერატურა
განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გრიფირებული სახელმძღვანელოები გეოგრაფიაში VI-XI კლ.



ტესტური დავალებების ტიპები

დავალების I ტიპი

არჩევითობიანი კითხვა

დავალების აღწერა და ინსტრუქცია – დავალებაში დასმულია კითხვა, რომელსაც ოთხი პასუხი ახლავს. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელში უნდა გადახაზოთ (დასვათ X ნიშანი) არჩეული პასუხის შესაბამისი უჯრა.

მონმდება: ფაქტობრივი მასალის, ცნებებისა და ტერმინების ცოდნა; მოვლენათა დამახასიათებელი ნიშნებისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენა; რუკის კითხვა და გამოყენება.

შეფასება: თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

ნიმუშები იხილეთ 2012 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების თანდართულ ტესტში.

დავალების II ტიპი

შესაბამისობის დადგენა

დავალების აღწერა და ინსტრუქცია – დავალებაში მოცემულია ორი სვეტი. დაადგინეთ სვეტებში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის შესაბამისობა. შესაძლებელია ერთ სვეტში მოცემულ ინფორმაციას მეორედან შეესაბამებოდეს რამდენიმე. პასუხები უნდა ჩანეროთ მოცემულ ცხრილში (თითო ასოს ქვემოთ ჩანერეთ შესაბამისი ციფრი მაგ.

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ
3	1	2	1	4	2	1

მონმდება: ფაქტობრივი მასალის ცოდნა და მისი გამოყენების უნარი; მოვლენათა დამახასიათებელი ნიშნებისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენა.

შეფასება: თუ სწორად არის დადგენილი შეიძლება ან ექვსი შესაბამისობა, დავალება ფასდება 2 ქულით. სწორად არის დადგენილი ხუთი, ოთხი ან სამი შესაბამისობა, ფასდება 1 ქულით. სწორად დადგენილი მხოლოდ ორი, ერთი ან არცერთი შესაბამისობა, ფასდება 0 ქულით. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

დავალების ნიმუში:

დაადგინეთ შესაბამისობა (შესაძლებელია პასუხების გამეორება):

სახელმწიფო	ადმინისტრაციული ერთეული
ა. შვეიცარია	1. შტატი
ბ. ბრაზილია	2. რეგიონი
გ. საფრანგეთი	3. კანტონი
დ. ინდოეთი	4. მიწა
ე. გერმანია	
ვ. იტალია	
ზ. აშშ	

პასუხი:

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ
3	1	2	1	4	2	-

– 2 ქულა

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ
3	1	2	-	-	-	-

– 1 ქულა

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ
3	1	-	-	-	-	-

– 0 ქულა

დავალების III ტიპი

რუკის ანალიზი

დავალების აღწერა და ინსტრუქცია – დავალებაში მოცემულია რუკები (კონტურული, ფიზიკური, ტოპოგრაფიული და სხვ.), ყურადღებით უნდა შეისწავლოთ ისინი და უპასუხოთ კითხვებს. პასუხები უნდა ჩანეროთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

მონმდება: რუკის ლეგენდის გამოყენება, რუკის მეშვეობით ადგილზე ორიენტირება, უმოკლესი ან ხელსაყრელი მარშრუტების განსაზღვრა; ადგილის დახასიათება; რუკაზე მოცემული გეოგრაფიული ობიექტების მახასიათებლების დადგენა/განსაზღვრა; რუკაზე მოცემული გეოგრაფიული ინფორმაციის ანალიზი; საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების უნარი.

შეფასება: ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

ნიმუშები იხილეთ 2012 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების თანდართულ ტესტში.

დავალების IV ტიპი

ინფორმაციის ტრანსფორმაცია და ანალიზი

დავალების აღწერა და ინსტრუქცია – დავალებაში შეიძლება მოცემული იყოს ტექსტი, რუკა, ცხრილი, გრაფიკი, დიაგრამა და სხვა თვალსაჩინოება, რომელშიც მოცემულია გარკვეული გეოგრაფიული ინფორმაცია. მოგეთხოვებათ მოცემული ინფორმაციის ტრანსფორმაცია (მაგ.; ცხრილის საშუალებით მოცემული ინფორმაციის გამოხატვა გრაფიკულად) და ანალიზი. პასუხები უნდა ჩანეროთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ ადგილებზე (მაგ.: მოცემულია საკოორდინატო სისტემის მატრიცა, რომელზეც უნდა აავსოთ გრაფიკი/დიაგრამა).

მონმდება: რუკის კითხვის, მოპოვებული ინფორმაციის ინტერპრეტაციისა და ტრანსფორმაციის, გრაფიკების, ცხრილებისა და დიაგრამების კითხვისა და შედგენ. მოვლენებისა და პროცესების დამახასიათებელი, არსებითი ნიშნების, მათ შორის, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენის, მოვლენათა და პროცესთა შედარების უნარი; საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების; ლოგიკური, კრიტიკული აზროვნების; პროცესებისა და მოვლენების შეფასების უნარი.

შეფასება: ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

ნიმუში იხილეთ 2012 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების თანდართულ ტესტში.

შენიშვნა:

ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე გეოგრაფიის ტესტს დართული ექნება ის აუცილებელი რუკები, რომლებიც აბიტურიენტებს დაეხმარება უკეთ გაართვან თავი ტესტში დასმულ ამოცანებს.

არჩევითობიანი კითხვა

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის სწორად მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცლის სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

1. რომელ ფოტოზეა ნაჩვენები მდინარის დელტა?



2. რომელი გეოგრაფიული კანონზომიერება მოჩანს ფოტოზე?



- ა. განედური ზონალურობა
 - ბ. რიტმულობა
 - გ. აზონალურობა
 - დ. ვერტიკალური ზონალურობა
- 3. რომელი ბუნებრივი ზონა მდებარეობს ზღ.დ. ყველაზე მაღლა?**
- ა. ალპური
 - ბ. ნივალურ-ლაციალური
 - გ. სუბნივალური
 - დ. სუბალპური
- 4. გეოგრაფიული მცენიერების რომელი დარგი სწავლობს რელიეფს?**
- ა. გეომორფოლოგია
 - ბ. გეოდეზია
 - გ. სპელეოლოგია
 - დ. ლანდშაფტმცოდნეობა
- 5. რომელი მტკიცებულებაა მართებული?**
- ა. გლაციოლოგია შეისწავლის მიწისქვეშა წყლებს
 - ბ. გლაციოლოგია შეისწავლის ჭაობებს
 - გ. გლაციოლოგია შეისწავლის ტბებს
 - დ. გლაციოლოგია შეისწავლის მყინვარებს
- 6. რომელი ქალაქის გეოგრაფიული კოორდინატებია: 34° ს.გ. და 58° დ.გ.?**
- ა. სანტიაგო
 - ბ. კანბერას
 - გ. მონტევიდეოს
 - დ. ბუენოს-აირესის
- 7. რომელი მოგზაურის გემებს ერქვა: „სანტა-მარია“, „პინტა“ და „ნინია“?**
- ა. ქრისტეფორე კოლუმბის
 - ბ. ფერნანდო მაგელანის
 - გ. ამერიგო ვესპუჩის
 - დ. ვასკო და გამამ
- 8. რომელმა ვერძელმა ზღვაოსანმა მიაღწია პირველმა აფრიკის შემოვლით ინდოეთის სანაპიროს?**
- ა. მარკო პოლომ
 - ბ. ფერნანდო მაგელანმა
 - გ. ქრისტეფორე კოლუმბმა
 - დ. ვასკო და გამამ
- 9. რომელი დედაქალაქი არ არის მოსახლეობის რაოდენობით თავისი ქვეყნის უდიდესი ქალაქი?**
- ა. ბერლინი
 - ბ. ტოკიო
 - გ. ოტავა
 - დ. რომი
- 10. რომელი სახელმწიფო სარგებლობს გაეროს უშიშროების საბჭოში მუდმივი წევრის სტატუსითა და ვეტოს უფლებით?**
- ა. იაპონია
 - ბ. ჩინეთი
 - გ. გერმანია
 - დ. იტალია

11. ჩამონათვალიდან რომელი არ არის ვულკანი?

- ა. მცინვარწვერი
- ბ. იალბუზი
- გ. უშბა
- დ. დიდი აბული

12. რომელი სამხარეო ერთეულების საზღვარზე მდებარეობს ნაქერალას უღელტეხილი?

- ა. იმერეთისა და შიდა ქართლის
- ბ. აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის
- გ. იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის
- დ. სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის

13. რომელი უღელტეხილი აკავშირებს კახეთსა და დაღესტანს?

- ა. მამისონის
- ბ. ყადორის
- გ. მარუხის
- დ. ჯვრის

14. რომელი გეოგრაფიული ობიექტი არ ასრულებს საქართველოსთვის კლიმატნარმომქმნელი ფაქტორის როლს?

- ა. ლიხის ქედი
- ბ. მთათაშორისი ბარი
- გ. შავი ზღვა
- დ. სვანეთის ქვაბული


15. რომელი არ არის ნავთობმომპოვებელი რეგიონი?

- ა. ბენგალის ყურე
- ბ. გვინეის ყურე
- გ. მექსიკის ყურე
- დ. სპარსეთის ყურე


16. მრეწველობის რომელ დარგშია დასაქმებული უფრო მეტი ადამიანი საქართველოში?

- ა. მეტალურგიაში
- ბ. მანქანათმშენებლობაში
- გ. კვების მრეწველობაში
- დ. ქიმიურ მრეწველობაში

17. ჩამოთვლილთაგან რომელი ქვეყნის იმპორტში ჭარბობს სათბობის ხვედრითი წილი?



18. რომელი რუკის ფრაგმენტია მოცემული ილუსტრაციაზე?



- ა. ჩვილთა მოკვდაობის
- ბ. აღწარმოების ტიპების
- გ. სქესობრივი სტრუქტურის
- დ. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის

19. რა მაჩვენებლის მიხედვით არის დალაგებული სახელმწიფოები ცხრილში?

№	სახელმწიფო	მაჩვენებელი
1.	ნორვეგია	0,944
2.	ისლანდია	0,942
3.	შვედეთი	0,941
4.	ავსტრალია	0,939
5.	ნიდერლანდები	0,938
6.	ბელგია	0,937

- ა. შობადობის კოეფიციენტის
- ბ. ჰუმანური განვითარების ინდექსის
- გ. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობის
- დ. ჩვილთა სიკვდილიანობის კოეფიციენტის

20. რომელმა ქვეყანამ გამოიყენა საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენები ხელოვნური კუნძულების შესაქმნელად?

- ა. გაერთიანებულმა სამეფომ
- ბ. გერმანიამ
- გ. იაპონიამ
- დ. კანადამ

21. რისი დაცვის მიზნით შეიქმნა იელოუსტონის ეროვნული პარკი?

- ა. სექვიას ტყის
- ბ. გეიზერების
- გ. დიდი კანიონის
- დ. კარსტული მღვიმეების

22. რომელია შერეული (დუალისტური) მმართველობის რესპუბლიკა?

- ა. იტალია
- ბ. კანადა
- გ. საფრანგეთი
- დ. აშშ

23. რომელი სახელმწიფოს პარლამენტის ქვედა პალატაა „თემთა პალატა“?

- ა. იაპონიის
- ბ. აშშ-ს
- გ. იტალიის
- დ. კანადის

24. რომელ შტატშია მაღალტექნოლოგიური სამრეწველო ზონა „სილიკონის ველი“?

- ა. ფლორიდის
- ბ. ტეხასის
- გ. კოლორადოს
- დ. კალიფორნიის

25. რომელია გერმანიის მთავარი ფინანსური ცენტრი?

- ა. ბონი
- ბ. ბერლინი
- გ. ფრანკფურტი
- დ. მიუნჰენი

26. რომელია იტალიის, ევროპის და მსოფლიო მოდის ინდუსტრიის ერთ-ერთი ცენტრი?

- ა. ტურინი
- ბ. რომი
- გ. ფლორენცია
- დ. მილანი

• მოცემული პირობის მიხედვით დალაგება

ინსტრუქცია

დავალებაში მოცემულია 6 ობიექტი, მოვლენა და ა.შ., საიდანაც უნდა შეირჩეს ოთხი და დალაგდეს მიითებული პრინციპის თანახმად (მაგალითად აღმოსავლეთიდან დასავლეთი-საკენ). პასუხები ჩანერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში. გაითვალისწინეთ, რომ ცხრილში ინერება მხოლოდ შერჩეული გეოგრაფიული ობიექტის, მოვლენის და ა.შ. შესაბამისი ციფრი. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

(მაგ.:

5	4	1	2
---	---	---	---

).

27. წყნარ ოკეანეში მდებარე ოთხი არქიპელაგი დალაგეთ ეკვატორიდან ჩრდილოეთი პოლუსის მიმართულებით:

1. სეიშელის
2. კურილის
3. შავაის
4. ფილიპინის
5. ბერმუდის
6. ალექსის

--	--	--	--

28. დალაგეთ ევროპის „ჯუჯა სახელმწიფოები“ მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვის მაჩვენებლის ზრდის მიხედვით (ყველაზე მცირედან ყველაზე მაღლისკენ)

№	სახელმწიფო	კვ.კმ	კაცი
1.	ვატიკანი	0,44	900
2.	მონაკო	1,95	32 965
3.	ნაურუ	21,3	11 320
4.	ტუვალუ	25,9	12 177
5.	სან-მარინო	61	31 900
6.	ლიხტენშტეინი	160,4	34 761

--	--	--	--


29. ავსტრალიის, აფრიკის, სამხრეთი და ჩრდილოეთი ამერიკის უმაღლესი მწვერვალები დალაგეთ ზღვის დონიდან სიმაღლის ზრდის მიხედვით:

1. მაკ-კინლი
2. ჩიმბორასო
3. კილიმანჯარო
4. ფუძიამა
5. აკონკაგუა
6. კოსტიუმუკო

--	--	--	--

პროგრესი 2013

30 ტროპიკული აფრიკის (სამხრეთის) ოთხი ქვეყანა დალაგეთ საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობის ზრდის მიხედვით:



1. ბოტსვანა
2. ლიბია
3. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა
4. ალჟირი
5. ანგოლა
6. კამერუნი

--	--	--

• შესაბამისობის პოვნა

ინსტრუქცია

დავალევაში მოცემულია ორი სვეტი, ორი სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალი. დაადგინეთ ამ ორ სვეტში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის შესაბამისობა. პასუხები ჩანერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში (თითოეულ ასოს ქვემოთ მიუწერეთ შერჩეული გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი ციფრი მაგ.

ა	ბ	გ
1	5	3

). დავალების მაქსიმალური ქულაა 1.

31. დაადგინეთ შესაბამისობა კურორტებსა და ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციებს შორის:

კურორტი	ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია
ა. ლეზარდე	1. აფხაზეთი
ბ. ზვარე	2. რაჭა
გ. ავადხარა	3. სამეგრელო
	4. გურია
	5. იმერეთი

ა. ბ. გ.

32. დაადგინეთ შესაბამისობა ოკეანეებსა და მათი აუზის ზღვებს შორის:

ოკეანე	ზღვა
ა. წყნარი	1. თეთრი
ბ. ატლანტის	2. შავი
გ. ინდოეთის	3. წითელი
	4. ყვითელი
	5. კარის

ა. ბ. გ.

33. დაადგინეთ შესაბამისობა კონტინენტებსა და ტბებს შორის:

კონტინენტი	ტბა
ა. სამხრეთი ამერიკა	1. ეირი
ბ. ავსტრალია	2. ტიტკაკა
გ. ჩრდილოეთი ამერიკა	3. ვიქტორია
	4. ზემო
	5. ტანგანიკა

ა. ბ. გ.

34. დაადგინეთ შესაბამისობა დედაქალაქებსა და მდინარეებს შორის:

დედაქალაქი	მდინარე
ა. ლონდონი	1. დნეპრი
ბ. პარიზი	2. ლუარა
გ. ვენა	3. თემზა
	4. სენა
	5. დუნაი

ა. ბ. გ.

35. დაადგინეთ შესაბამისობა ფოტოებზე გამოსახულ ელექტროსადგურებსა და მათ ტიპებს შორის:

ელექტროსადგურის ფოტო	ელექტროსადგურის ტიპი
ა.	1. ეოლური (ქარის)
ბ.	2. ჰიდრო
გ.	3. თბო
	4. ატომური
	5. ჰელიო (მზის)

ა. ბ. გ.


• რუკის ანალიზი

ინსტრუქცია

დავალევაში მოცემულია რუკები (კონტურული, ფიზიკური, ტოპოგრაფიული და სხვ.), ყურადღებით შეისწავლეთ რუკები და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩანერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.


36. (10) ყურადღებით შეისწავლეთ მოცემული რუკა და უპასუხეთ კითხვებს:

- 36.1. რომელი წყალსაცავია აღნიშნული კონტურულ რუკაზე ციფრით 1?
- 36.2. რომელი ტბაა აღნიშნული კონტურულ რუკაზე ციფრით 2?
- 36.3. რომელი მდინარეა აღნიშნული კონტურულ რუკაზე ციფრით 3?
- 36.4. რომელი სამხარეო ცენტრია აღნიშნული კონტურულ რუკაზე ციფრით 4?
- 36.5. რუკის რომელი ფრაგმენტი შეესაბამება III კვადრატს?
- 36.6. რომელ კვადრატს შეესაბამება რუკის ფრაგმენტი დ?
- 36.7. რომელი კვადრატებისთვისაა დამახასიათებელი ბრიზები?
- 36.8. რომელ კვადრატებშია მეტეოსადგურები, სადაც საქართველოში ჰაერის ყველაზე მაღალი ტემპერატურაა დაფიქსირებული?
- 36.9. რომელ კვადრატშია საქართველოს ყველაზე მაღალი ნერტილი ზღვის დონიდან?
- 36.10. რომელ კვადრატში მდებარეობს საქართველოში დაარსებული პირველი ნაკრძალი?



37. (8) ტოპოგრაფიული რუკის გამოყენებით უპასუხეთ კითხვებს:

37.1. რელიეფის რომელი პროფილი შეესაბამება მ. მელთადან მ. კოპალამდე გავლებულ ხაზს?





37.2. რომელია მდ. ჭკუდის მარჯვენა შენაკადი?

37.3. რუკაზე ნაჩვენებები მდინარეებიდან რომელია უფრო სწრაფი?

37.4. რუკაზე დატანილი A და B ნერტილებიდან რომელი მდებარეობს ზღ.დ. უფრო მაღლა და რამდენი მეტრით? აჩვენეთ გამოთვლის პროცესი.

37.5. სოფ. ცარციეთის მიდამოებში ვერტმფრენის დასაჯდომი მოედნის მოსაწყობად რუკაზე მონიშნული სამი ნაკვეთიდან შეარჩიეს ნაკვეთი №1. დანერეთ ნაკვეთი №1-ის შერჩევის ორი ძირითადი და ნაკვეთების №2 და №3-ის დანუნების თითო-თითო მიზეზი.





ინფორმაციის ტრანსფორმაცია

ინსტრუქცია

დავალეში მოცემულია დიაგრამები. ყურადღებით შეისწავლეთ ისინი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩანერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

38.(7) დიაგრამებზე ნაჩვენებია ტყის რესურსით მდიდარ სამ ქვეყანაში ხე-ტყის მრეწველობის პროდუქციის ექსპორტისა და იმპორტის მდგომარეობა. გააანალიზეთ დიაგრამები და უპასუხეთ კითხვებს:



38.1. ექსპორტისა და იმპორტის დიაგრამების მიხედვით, რომელი ქვეყნის რომელ სვეტს შეესაბამება ქვემოთ მოცემული წრიული დიაგრამა?



38.2. სამი ქვეყნიდან (A, B თუ C) რომელს აქვს ყველაზე ნაკლებად განვითარებული ხე-ტყის მრეწველობა? პასუხი დაასაბუთეთ.

38.3. მოცემული დიაგრამებიდან გამომდინარე, შეგვიძლია თუ არა დავასკვნათ, რომ A ქვეყანაში ექსპორტის მოცულობა ჭარბობს თუ იმპორტის? პასუხი დაასაბუთეთ.

38.4. საქართველოში ხე-ტყის მრეწველობაში არსებული მდგომარეობა რომელი ქვეყნის - A, B თუ C-ს სიტუაციასთან არის ახლოს? პასუხი დაასაბუთეთ.

38.5. მოცემული დიაგრამებიდან გამომდინარე, შეიძლება თუ არა დავასკვნათ, რომ C ქვეყანაში აწარმის ქალაღდის წარმოება? პასუხი დაასაბუთეთ.

გეოგრაფიული ტექსტის ანალიზი

ინსტრუქცია

ყურადღებით შეისწავლეთ დავალეში მოცემული ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩანერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

39. (6) ყურადღებით გაეცანით მოცემულ ტექსტს და უპასუხეთ კითხვებს:

ტექსტი

არქტიკული და ანტარქტიკული უდაბნოების ზონა - იგი იღებს მინიმალური რაოდენობის სითბოს, რის გამოც სასიცოცხლო პირობები ძალზე მკაცრია. ხანმოკლე თბილი პერიოდის ტემპერატურა არ აღემატება +5°C; ცივ პერიოდში კი ხშირად -40°C-მდე ეცემა. ეს განაპირობებს ფლორისა და ფაუნის სიღარიბეს. ცხოველთა სამყაროდან გვხვდებიან ფრინველები და ძუძუმწოვრები.

ტუნდრის ზონა - აქ ხანგრძლივი მკაცრი ზამთარი და ხანმოკლე (რამდენიმე კვირა) გრილი ზაფხულია; ყველაზე თბილი თვის სამ. ტემპერატურაა +10+15°C. ტუნდრაში მხოლოდ ხავსები, დაბალი ბალახი და ბუჩქნარი ხარობს. ცხოველთა სამყარო შედარებით მრავალფეროვანია. კოლოს ურიცხვი რაოდენობის გამო, ზაფხულობით აქ თავს იყრის მრავალი ფრინველი. ზაფხულის საძოვრებისკენ ტაიგიდან გადმოდიან ჩრდილოეთის ირმების ჯოგები, რასაც მოყვება მგელი. ტუნდრაში ზამთრობითაც გვხვდება ფაუნის ზოგიერთი წარმომადგენელი: პოლარული გნოლი, პოლარული კურდღელი, ლემინგი, პოლარული ბუ და სხვ.

• **ზომიერი სარტყლის ტყეების ზონა** – ტყეების ყველაზე ჩრდილოეთი ზონა წარმოდგენილია ტაიგით. აქ გავრცელებულია წიწვოვანი ხეები, რომლებიც შეგუებული არიან მკაცრ კლიმატურ პირობებს. ტაიგას, სამხრეთით, ვინრო ზოლის სახით მოსდევს გარდამავალი შერეული ტყეების ზონა, რომელშიც წარმოდგენილია როგორც წიწვოვანი, აგრეთვე ფოთლოვანი ხეების სახეობები. ამის შემდეგ (ეკვატორის მიმართულებით) იწყება ფართოფოთლოვანი ტყეების ზონა. ტყე საკმაოდ რთული ეკოსისტემაა, რომელიც, პოლარული უდაბნოებისა და ტუნდრის ზონებთან შედარებით, უფრო მდიდარია ფლორითა და ფაუნით.

• **სტეპის ზონა** – გავრცელებულია ზომიერ სარტყელში; კონტინენტების ცენტრალურ რაიონებში, სადაც არასაკმარისი დატენიანების პირობებია. სტეპი წარმოადგენს უტყეო ლანდშაფტს. აქ ძირითადად ბალახოვანი მცენარეულობაა გავრცელებული. სხვადასხვა კონტინენტებზე ამ ზონას სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ – სტეპი, პრერია და პამპა.

• **უდაბნოების ზონა** – ეს არის ტერიტორიები, სადაც წელიწადში 250 მმ-ზე ნაკლები ნალექი მოდის. ტემპერატურა უდაბნოში დღისით ხშირად +40°C აჭარბებს, ხოლო ღამით 0°C-ზე დაბლა ეცემა. უდაბნოები ძალზე ღარიბია მცენარეულობით, მაგრამ საკმაოდ მრავალფეროვანი ფაუნით ხასიათდება, რომელთაგან ძირითადად აღსანიშნავია მწერები და ქვეწარმავლები.

• **სავანებისა და მერხერი ტყეების ზონა** – ხანგრძლივი მშრალი პერიოდის არსებობის გამო ამ ზონაში ძირითადად ბალახოვანი მცენარეები გავრცელებული, ხოლო მცირერიცხოვანი ხემცენარეებს (ბოთლა ხე, ბაობაბი და სხვ.) დიდი რაოდენობის ტენის დაგროვება შეუძლიათ. სავანა ბალახისმჭამელი ცხოველების სამეფოა (სპილო, მარტორქა, ჟირაფი, ზებრა და სხვ.). ჩლიქოსნების ჯოგები მიგრირებენ სეზონური წვიმების კვალდაკვალ. ეს ბუნებრივი ზონა გამოირჩევა მტაცებელი ცხოველების მრავალფეროვნებით (ლომი, ლეოპარდი, გიენა და სხვ.).

• **ტენიანი ტროპიკული ტყეების ზონა** – გავრცელებულია ეკვატორის მიდამოებში. ამ ადგილებში 1 ჰექტარზე 200-მდე ხემცენარის, 60 000-მდე მწერისა და ობობის სახეობაა გავრცელებული. ამინდი აქ მუდამ ერთგვაროვანია: ზამთარ-ზაფხულ თითქმის ერთნაირი ტემპერატურაა და +20 +30°C ფარგლებში მერყეობს. ხშირია წვიმები (წელიწადში 2 300მმ). მუსონური კლიმატის გავრცელების რაიონებში ტენიან ტყეებს ცვლის მუსონური (ცვალებადტენიანი) ტყეების ზონა. აქ მკვეთრად გამოხატული ორი სეზონია – ტენიანი ზაფხული და შედარებით მშრალი ზამთარი.

კითხვები:

- 39.1. ჩამოთვალეთ ზომიერ სარტყელში მდებარე ტყის ზონები.
- 39.2. ტექსტიდან გამომდინარე, რომელი ბუნებრივი ზონა გამოირჩევა ტემპერატურის ყველაზე დაბალი წლიური ამპლიტუდით?
- 39.3. ახსენით ტენიანი ტროპიკული ტყეებისა და მუსონური ტყეების მთავარი განმასხვავებელი ნიშანი.
- 39.4. ტექსტიდან გამომდინარე, იპოვეთ თითო განსხვავება ტენიანი ტროპიკული ტყეებისა და სავანების ფლორასა და ფაუნაში.
- 39.5. ტექსტში აღწერილია განედური ზონალურობა. რა განაპირობებს პოლუსებიდან ეკვატორისკენ ბუნებრივი ზონების ასეთ ცვალებადობას?

დავალება№	გამოზრახვითი MAX 70 ქულა	ქულა
1.	ბ	1
2.	დ	1
3.	ბ	1
4.	ა	1
5.	დ	1
6.	დ	1
7.	ა	1
8.	დ	1
9.	ბ	1
10.	ბ	1
11.	ბ	1
12.	ბ	1
13.	ბ	1
14.	დ	1
15.	ა	1
16.	ბ	1
17.	დ	1
18.	ბ	1
19.	ბ	1
20.	ბ	1
21.	ბ	1
22.	ბ	1
23.	დ	1
24.	დ	1
25.	ბ	1
26.	დ	1
27.	4 3 2 6	2
28.	6 5 1 2	2
29.	6 3 1 5	2
30.	1 5 3 6	2
31.	ა ბ გ 3 5 1	1
32.	ა ბ გ 4 2 3	1

დავალება№	გამოზრახვითი MAX 70 ქულა	ქულა
33.	ა ბ გ 2 1 4	1
34.	ა ბ გ 3 4 5	1
35.	ა ბ გ 4 1 2	1
36.	36.1. ჟინვალის წყალსაცავი 36.2. ჯანდარის ტბა 36.3. მდ. ხრამი / ქცია 36.4. ქ. ახალციხე 36.5. ა 36.6. IV 36.7. VIII და V / ე. და ბ. 36.8. VII და V / გ. და ბ. 36.9. VI 36.10. I	10
37.1.	ბ	1
37.2.	მდ. გეგა - 1 ქულა.	1
37.3.	მდ. ცარცულა - 1 ქულა.	1
37.4.	A; 177,5 მ-170 მ=7,5 მ-ით - 1 ქულა.	1
37.5.	• №1 ნაკვეთის შერჩევის სწორად დასახელებული თითოეული მიზეზი ფასდება 1 ქულით – ჯამში 2 ქულა • №2 ნაკვეთის დაწინების სწორად დასახელებული მიზეზი – 1 ქულა • №3 ნაკვეთის დაწინების სწორად დასახელებული მიზეზი – 1 ქულა სწორი პასუხის ნიმუში: ✓ №1 – შერჩეულია, რადგან უტყეო მოსწორებული (ვაკე) ადგილია – 2 ქულა ✓ №2 – დაწინებულია, რადგან ფერდობია – 1 ქულა ✓ №3 – დაწინებულია, რადგან ფერდობია – 1 ქულა	4
38.1.	წრიული დიაგრამა შეესაბამება იმპორტის დიაგრამაზე მოცემულ A ქვეყნის სვეტს	1
38.2.	სწორად დასახელებული ქვეყანა – 1 ქულა; მართებული დასაბუთება, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას – 1 ქულა. სწორი პასუხის ნიმუში: C ქვეყანას, იმიტომ რომ, C ქვეყნიდან გატანილი ხე-ტყის პროდუქციაში პროცენტულად უფრო მეტი ნედლეული (მორები) გააქვთ და სხვა ქვეყნებიდან ხის გადამამუშავებელი სხვადასხვა პროდუქცია (ფიცარი, ქალაღი და ა.შ.) შემოაქვთ – 2 ქულა.	2
38.3.	მართებული დასაბუთება, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - 1 ქულა. სწორი პასუხის ნიმუში: არ შეგვიძლია, რადგან ეს დიაგრამები არ ასახავს ექსპორტისა და იმპორტის აბსოლუტურ (რაოდენობრივ/თანხობრივ) მაჩვენებლებს. იგი გვიჩვენებს ხე-ტყის მრეწველობის პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის პროცენტულ სტრუქტურას – 1 ქულა.	1
38.4.	სწორად დასახელებული ქვეყანა – 1 ქულა; მართებული დასაბუთება, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას – 1 ქულა. სწორი პასუხის ნიმუში: C ქვეყანასთან, რადგან ჩვენი ქვეყნიდანაც ძირითადად გააქვთ მორები ნედლეულის სახით და შემოაქვთ სხვადასხვა დასახელების ხის გადამამუშავებელი პროდუქცია – 2 ქულა.	2
38.5.	მართებული დასაბუთება, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას – 1 ქულა. სწორი პასუხის ნიმუში: ვერ დავასკვნით, რადგან არსებული ინფორმაცია, რომ C ქვეყნიდან ექსპორტზე არ გადის ქალაღი და მხოლოდ იმპორტით შემოდის, არასაკმარისია. შესაძლოა, ქალაღის წარმოება მიმდინარეობს, მაგრამ იმის გამო, რომ ვერ აკმაყოფილებს შიდა მოთხოვნას დიდი რაოდენობით იმპორტირება ხდება – 1 ქულა.	1
39.1	ტაიგა (წიწვოვანი), შერეული ტყე, ფართოფოთლოვანი ტყე – 1 ქულა.	1
39.2.	ტენიანი ტროპიკული ტყეების ზონა – 1 ქულა.	1
39.3.	მართებული დასაბუთება, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - 1 ქულა. სწორი პასუხის ნიმუში: ნალექების არათანაბარი განაწილება. ტენიან ტროპიკულ ტყეებში ნალექები თანაბრად მოდის მთელი წლის განმავლობაში, ხოლო მუსონურ ტყეებში ორი მკვეთრად განსხვავებული სეზონია – მშრალი ზამთარი და ტენიანი ზაფხული.	1
39.4.	ფლორასთან დაკავშირებული მართებული დასაბუთება, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას – 1 ქულა; ფაუნასთან დაკავშირებული მართებული დასაბუთება, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას – 1 ქულა. სწორი პასუხის ნიმუში: ფლორა: სავანებში ძირითადად ბალახოვანი მცენარეებია, ტროპიკულ ტყეებში კი ხემცენარეები – 1 ქულა; ფაუნა: სავანებში სახეობრივი მრავალფეროვნებით, უფრო მეტად, დიდი ძუძუმწოვრები გამოირჩევიან, ტროპიკულ ტყეებში კი მწერები და ობობები – 1 ქულა.	2
39.5	მართებული დასაბუთება, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას – 1 ქულა. სწორი პასუხის ნიმუში: მზის სხივის დახრის კუთხე; / დედამიწის სფეროსებურობა.	1



სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი

2013 წლის 4 მარტიდან აცხადებს ღია კონკურსს უნივერსიტეტში სრული და ასოცირებული აკადემიური თანამდებობების დასააკავებლად

კონკურსი ცხადდება უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მაცნეებზე ფაქულტეტის:

- ა) სამართლის მიმართულებების – საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის საპროცესუო სამართლებრივ საკანონიერებო
 - სრული პროფესორი – 1 ადგილი
 - ასოცირებული პროფესორი – 2 ადგილი
- ბ) სოციალურ მაცნეებზე მიმართულების საერთაშორისო ურთიერთობა
 - სრული პროფესორი – 1 ადგილი
 - ასოცირებული პროფესორი – 4 ადგილი
- გ) ზიზნის ადმინისტრირების მიმართულების საბაკანო საქმის სპეციალური
 - სრული პროფესორი – 1 ადგილი
 - ასოცირებული პროფესორი – 2 ადგილი

სრულ პროფესორად შიქლავა არჩეულ იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.

ასოცირებულ პროფესორად შიქლავა არჩეულ იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

კონკურსი მონაწილეობის მისაღებად კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:

- ა) წერილობითი განცხადება რეკომენდირების სახელით
- ბ) პირადობის დამადასტურებელი საბუთი
- გ) ავტობიოგრაფია (CV)
- დ) განათლებისა და აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები დედნების ან სანობირო წესით დამადასტურებელი დოკუმენტები
- ე) სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი

საკონკურსო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს:

- ა) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ნუსხა
- ბ) სილაბუსო კურსების ჩამონათვალი (სილაბუსებით)
- გ) ზოლზე 5 წელიწადში შესრულებული ერთ-ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც წარმოადგენს კონკურსანტის პროფესიულ და შეხებასა და წასაკითხი სასწავლო კურსის სპეციფიკს.
- დ) ინფორმაცია ზოლზე სამი წლის განმავლობაში მისი ხელმძღვანელობით განხორციელებული საბაკანო, სამეცნიერო-პედაგოგიური და სადოქტორო პროგრამების განხორციელების შესახებ.
- ე) ლოკალურ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია დამადასტურებელი დოკუმენტებით

ტავის რეიტინგული შეფასების კრიტერიუმებია:

- ა) აკადემიური ხარისხი
- ბ) პედაგოგიური და სამეცნიერო გამოცდილების სტაჟი
- გ) ზოლზე 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატიები, მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები
- დ) საბაკანო, სამეცნიერო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა
- ე) ზოლზე წელიწადში სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა
- ვ) კვალიფიკაცია
- ზ) მოპოვებული გრანტები
- თ) საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა

საკონკურსო განაცხადებისა და საბუთების მიღება იწარმოება უნივერსიტეტის კანცელარიაში, 2013 წლის 4 აპრილიდან და გაგრძელდება 2013 წლის 9 აპრილის ჩათვლით, დილის 10 საათიდან 17 საათამდე. კონკურსი ჩატარდება 2013 წლის 13 აპრილს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში – ძ. გორი, ცხინვალის რეგიონში. ტელ: (0-370) 27 05 57. დაწვრილებით ინფორმაციის მიღება შესაძლებელია უნივერსიტეტის საკონკურსო კომისიაში.

სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის საკონკურსო კომისია

ექვთიმე თაყაიშვილის დღეები რუსულ სკოლაში

ბედნიერია ქართველი ერი, რომელსაც ისეთი შვილები ჰყავს, როგორც ექვთიმე თაყაიშვილი.

ბედნიერია ქართველი ერი, როდესაც ამ შვილის ყოლას მართო თვითონ კი არა, მსოფლიო აღნიშნავს.

ბედნიერია საქართველო, როცა ამ სათაყვანო შვილის სახელს თითოეული მისი მოქალაქე იცნობს და საკუთარივე იყვარებს.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტი“ რომელიც კერძო სკოლაა და თანაც რუსული, საგანგებოდ ეკიდება ისეთ ადამიანთა წარმომრჩენას მოსწავლეთა წინაშე, რადგან კარგად აქვს გაცნობიერებული: ეს მოსწავლეთა – მარი ხუდოვერა, ანა აბელოვა, დანიელ სამოვერა, ნინო არჯევანიძე, ვიქტორია ვარსიმაშვილი, ვლადისლავ პუგაჩი, ალექსანდრე პერტაია და ნიკიტა პეპანიანი – ხვალ ამ ქვეყნის სრულფასოვანი მოქალაქეები გახდებიან და კარგად უნდა გაიცნობიერონ, საქართველო მათი სამშობლოა, ხოლო მისი ღირსეული შვილები კი – მათი წინაპრებიც. ამავ დროს, ალბათ არავის ეწყინება,

თუ თამამად ვიტყვი, რომ უპირველეს ყოვლისა, ამ დიდ მისიას, რომელსაც საქართველოსა და მისი სათაყვანებელი შვილების სიყვარული ჰქვია, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი ასრულებს. მას ძალიან მიძიმე და საპატიო მოვალეობა აკისრია. აქ არ შეიძლება, არც რამე გადაამეტო და არც სიმართლე დამალი. საქმე ხომ სხვადასხვა ერის შვილებთან გვაქვს. ზოგჯერ აღწევს მიზანს, ზოგჯერ ჩავარდნები გვაქვს, მაგრამ ასეთია მასწავლებლის პროფესია – რთული და, ამავდროულად, მრავალფეროვნებით სავსე.

ამ მოვალეობას საოცარი ერთგულებით, სიყვარულითა და თავდადებით ასრულებს ქალბატონი ეთერ მესტირისძე, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ხელმძღვანელი. სწორედ მისი თაოსნობით, ყველა კლასში აღინიშნება ექვთიმე თაყაიშვილის დღეები, ტარდება საჩვენებელი გაკვეთილები, უჩვენებენ რეზო თაბუკაშვილის ფილმს – „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“, თითოეული კლასი უშვებს საიუბილეო გაზეთს, მზადდება საკონფერენციო მასალები. ერთი სიტყვით, სკოლა „ინტელექტი“ ფუნქციონირებს სკას დამსწავლელსა და ჩემად, უზამუროდ აკეთებს საკეთებელს.

ვისაც რუსულ სკოლაში არ უმუშავია, მან არ იცის, რა ტიტანური შრომა სჭირდება ყოველივე ზემოჩამოთვლილს, რა ბედნიერად გიძღვრებს გული, როცა სხვა ეროვნების ბავშვი გამოდის და გულანთებული, თვალბაკიაფებული, სიყვარულით განმსჭვალული გიყვება ქართველთა სათაყვანებელი შვილის სევდიან, მაგრამ გმირობითა და საოცარი ადამიანობით სავსე ისტორიას ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ.

მიხარია, რომ ასეთი მასწავლებლები არ დალევია ჩემს ქვეყანას. ისინი ხომ ყოველდღიურად პატარა, სხვებისთვის შეუმჩნეველ, უმეტესწილად, დაუფასებელ გმირობას სწადიან და ერთადერთი, რაც ამოძრავებთ, მშობელი ქვეყნის ღრმა და უანგარო სიყვარულია!

აზა ძალარია
ქართული ენისა და
ლიტერატურის პედაგოგი



ღმერთო, სამოგლო მიცოცხლა!

მამულის ღრმა სიყვარული ახლდა პროექტს, რომელიც კასპის №1 საჯარო სკოლის VIII კლასის მოსწავლეთა (მასწავლებელი – მანა-

ნა ყაბანაშვილი) წარმოადგინეს ჯერ სკოლის, შემდგომ კი მოსწავლეთა ახალგაზრდობის სააქტო დარბაზებში.

გულანთებული მოსწავლეთა ფარნავაზს, მირიანს, ვახტანგ გორგასალს, დავითს, თამარს, პაატასა და სხვა წარსულ გმირებს თამაშობდნენ. ახასიათებდნენ მათ იმ ნიშნებით, რითაც იყვნენ ცნობილი და გრიგოლ ორბელიანის ცნობილი

ტაქტებით აერთიანებდნენ:

„გმირნო, მამულის მადიდნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება, თქვენთა სახელთა ამყად წარმოსთქვამს შთამომავლობა!“

მოსწავლეთა არ ივწყებდნენ ხალხურ თქმულებებს, ლეგენდებს, საგმირო ლექსებს ამა თუ იმ პიროვნებების შესახებ, განსაკუთრე-

ბულ როლს ანიჭებდნენ დედებს, ვინც ყრმებს „პირველ მოანვდის თვით ძუძუს მადლით ცხებულსა“. მომღერალთა ჯგუფი – თეონა თაბუკაშვილი, ქრისტინე ბუთხუზი, ნათია სოყურაშვილი, ელიზაბეტა ქურთაული, ლუკა კახიშვილი – ლონისძიებს სიმღერებით ეხმიანებოდა.

თითოეულ გმირს დაფნის გვირგვინით ამკობდნენ, სანთელს უნ-

თებდნენ და შოთას უკვდავ სიტყვებს იმეორებდნენ: „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“.

პროექტმა პედაგოგების, მშობლებისა და მონვეული საზოგადოების დიდი მონონება დაიმსახურა.

მარიამ ნიკლაშვილი
კასპის №1 საჯარო სკოლის
მოსწავლე



გამოსვლილება

შემაჯავებელი ბაკვეთილი

პარალელური გადატანის პრაქტიკული გამოყენება და გეომეტრიულ ფიგურათა წარმოდგენა ალგებრული დამოკიდებულების საშუალებით

გაკვეთილის თემა	პარალელური გადატანის პრაქტიკული გამოყენება და გეომეტრიულ ფიგურათა წარმოდგენა ალგებრული დამოკიდებულების საშუალებით
სწავლების საფეხური, კლასი, სკოლა	III საფეხური, X კლასი, ადიგენის რაიონის სოფელ არლის საჯარო
საგანი	მათემატიკა, სერტიფიცირებული პედაგოგი – ცირა ვარდიძე
მოსწავლეთა რაოდენობა	12
გაკვეთილის სასწავლო მიზნები	1) გეომეტრიული გარდაქმნების გამოყენების უნარის განვითარება; 2) პრაქტიკულ ამოცანებში გეომეტრიული გარდაქმნების მოდელირება; 3) წრფივი უტოლობისა და უტოლობათა სისტემის გეომეტრიული ინტერპრეტაცია; 4) კოორდინატების გამოყენება სიბრტყის დაფარვის დემონსტრირება.
მისაღწევი შედეგები	X.12 მოსწავლე შეძლებს სიბრტყეზე გეომეტრიულ გარდაქმნებს და მათ გამოყენებას გეომეტრიული ამოცანების ამოხსნისას
მოტივაცია	შემეცნების დონის ამაღლება
გაკვეთილის თანამიმდევრობა (აქტივობა და დრო)	<p>ამოვიკითხავ სიას.</p> <p>საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობს ჯგუფებში (3 ჯგუფი). თითოეული ჯგუფი წარმოადგენს დავალებას, რომელიც შემდგომში მდგომარეობს: მოიძიონ ინფორმაცია „მოძრაობის“ შესახებ, წარმოგიდგინონ ნიმუშები ყოფა-ცხოვრებიდან, ხელოვნებიდან, რომლებიც მიიღება გეომეტრიული გარდაქმნების, კერძოდ „მოძრაობის“ საშუალებით (აღნიშნული დავალება წარმოდგენილი უნდა იყოს საპრეზენტაციო პროგრამით – Power Point). ჩვენება მიმდინარეობს პროექტორით. სანამ ჩვენებას დაიწყებს I ჯგუფის ლიდერი, კლასი პასუხობს შეკითხვებს:</p> <ol style="list-style-type: none"> რა არის მოძრაობა? – მოძრაობა არის სიბრტყის ისეთი გარდაქმნა, რომელიც მის ნებისმიერ წერტილს შორის მანძილებს არ ცვლის. დავასახელოთ მოძრაობის სახეები. – მოძრაობის სახეები: ცენტრული სიმეტრია, ლერძული სიმეტრია, პარალელური გადატანა, მობრუნება. <p>I ჯგუფის პრეზენტაცია</p> <ol style="list-style-type: none"> რა არის პარალელური გადატანის მახასიათებელი? – ვექტორი. რას ეწოდება ვექტორი? – სიდიდეს, რომელსაც აქვს სიგრძე და მიმართულება. როგორ ვიპოვოთ ვექტორის კოორდინატები? – ვექტორის ბოლოს კოორდინატებს გამოვაკლოთ სათავის კოორდინატები. <p>II ჯგუფის პრეზენტაცია</p> <ol style="list-style-type: none"> როგორ ვიპოვოთ ორი ვექტორის ჯამის კოორდინატები? – შესაბამისი კოორდინატების შეკრებით. როდის არის ორი ვექტორი ტოლი? – როცა მათ ტოლი კოორდინატები აქვთ. დავასახელოთ ნულოვანი ვექტორის მაგალითები. – დრო, ტემპერატურა. <p>III ჯგუფის პრეზენტაცია</p> <ol style="list-style-type: none"> როდის იქცევა წარმოდგენილი ლერძული სიმეტრია პარალელურ გადატანად? – როცა გვაქვს ორი პარალელური ლერძის მიმართ სიმეტრიათა კომპოზიცია. რას ეწოდება კომპოზიცია? – ორი თანამიმდევრობით შესრულებულ გადაადგილებას. რას წარმოადგენს ორი პარალელური გადატანის კომპოზიცია? – პარალელური გადატანის ვექტორს (12 წთ). <p>პროექტორით მონიტორზე გამოისახება მაგალითი პარალელური გადატანის კომპოზიციისაზე, დავალება ეძლევა ჯგუფებს.</p> $A(2;-3); B(-4;3); C(6;-5)$ $\vec{T}_1 = \vec{AB}; \vec{T}_2 = \vec{BC}, \text{ იპოვე } (\vec{T}_1 \ 0 \ \vec{T}_2)(A)$ <p>ამ დავალებისთვის ჯგუფებს ეძლევათ 3 წუთი, ერთ-ერთი ჯგუფიდან წარმომადგენელი აკეთებს პრეზენტაციას დაფაზე. მონიტორზე წარმოდგენილი იქნება პარალელური გადატანის მაგალითები გამოსახული ორნამენტებში და ცეკვა „ხორუმი“. მონიტორზე კვლავ წარმოდგენილი იქნება სიტუაციური ამოცანა მდინარის სხვადასხვა მხარეს მდებარე წერტილებს შორის უმოკლესი მანძილის მოძებნაზე და მდინარეზე ხიდის აგებაზე. თითოეული ჯგუფის წარმომადგენლები, ერთდროულად, წარმოადგენენ აღნიშნულ ნახაზს დაფაზე, სადაც პარალელურ გადატანას და მართობებს ააგებენ სახაზავების საშუალებით (5 წუთი). ჯგუფებს ეძლევათ დავალებები მონიტორის საშუალებით:</p> <p>I ჯგუფი: $Y=(X+1)^2+4$ ფუნქცია გადავიტანოთ პარალელურად $Y=X^2+1$ პარაბოლაზე. ვიპოვოთ პარალელური გადატანის ვექტორი</p> <p>II ჯგუფი: $Y=3X+4$ წრფე გადავიტანოთ პარალელურად $\vec{a}(-2;3)$ ვექტორით.</p> <p>III ჯგუფი: იპოვეთ $X^2+Y^2=9$ წრეწირის $(X-6)^2+(Y-4)^2=9$ წრეწირში პარალელური გადატანის ვექტორი (5 წუთი)</p> <p>თითოეული ჯგუფის ლიდერები გააკეთებენ პრეზენტაციას (3 წუთი). გონებრივი იერიში:</p> <ol style="list-style-type: none"> რას ეწოდება წრფივი ორუცნობიანი უტოლობა? – $ax+by<c$ ან $ax+by>c$ დამოკიდებულებას სადაც a, b, c რიცხვებია, x და y – ცვლადები. რა წარმოადგენს წრფივი ორუცნობიანი უტოლობის ამონახსნს? – ნახევარსიბრტყე. რა შეიძლება იყოს წრფივი ორუცნობიანი უტოლობათა სისტემის ამონახსნი? – ზოლი, ცარიელი სიბრტყე, წრფე, ნახევარსიბრტყე, კუთხე, სამკუთხედი. <p>მონიტორზე წარმოდგენილია სიტუაციური ამოცანა: სკოლის მოსწავლეთა წამახალისებელი საჩუქრებისათვის უნდა შეიძინონ წიგნები ან ქანდაკებები. მათი რაოდენობა უნდა იყოს არაუმეტეს 30-ისა, ამასთან, ცნობილია, რომ წიგნი ღირს 5 ლარი, ხოლო ქანდაკება – 10 ლარი. რამდენი დასახელების საჩუქრის შეძენა შესაძლებელი 90 ლარით? დაასახელო რაიმე ამონახსნი (5 წუთი).</p> <p>ჯგუფის ლიდერები პრეზენტაციისას დაფასთან დაშტრიახვენ უტოლობათა სისტემის ამონახსნთა სიმრავლეს და იპოვიან მის რამდენიმე ამონახსნს (3 წუთი).</p>
შეფასება	ჯგუფის ლიდერები საშინაო დავალებისთვის შეფასდნენ 10-10 ქულით და რამდენიმე მოსწავლე, შესაბამისი აქტიურობით, შეფასდა 8-9-8-8 ქულებით.
დავალბა	წრფივი ორუცნობიანი უტოლობის საშუალებით წარმოადგინონ უტოლობათა სისტემის ამონახსნთა სხვადასხვა შემთხვევები.
საკლასო მენეჯმენტი – საგანმანათლებლო რესურსები	კომპიუტერი, პროექტორი, სახელმძღვანელო, დაფა, ცარიცი, სახაზავები, ფარგალი, ფორმატის ფურცლები.






ნიენის
თარო

მიმდინარეობს

ხელმოწერა



კლასიკური პოეზია



სამი
ტომის
ფასი
15 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

ერთი
ცალის
ფასი
6.5 ლარი

- | | |
|---|--|
| 1. ცისფერი ბაღვინები - დეზა | 7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო |
| 2. ჰორაციუსის ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი | 8. მხატვრის ბალი - კლოდ მონე |
| 3. მწყობსა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო | 9. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი |
| 4. ადელ ბლუხ-გაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი | 10. საძანელა - რენუარი |
| 5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რაინი | 11. საპირაო განმარტება, ბრან-შატის კუნძულზე - შორჟ სიორა |
| 6. მინიები - ველასკესი | |

თემატური კლასიკები
დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ძართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პოეზიები
9. რიცხვები
10. სილ-პოსტნული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საძარტველო

ერთი
ცალის
ფასი
2.5 ლარი

თემატური
კლასიკები მატალი
კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საძარტველოში
3. გარეული ცხოველები საძარტველოში
4. მწერები
5. ძართული ხალხური საკრებები
6. ძველმედიები საძარტველოში
7. საძარტველო მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიღაბი - სიცოცხლის წყარო
11. ქველი რეზი
12. მსოფლიოს დროები
13. ზღვის დინებები
14. ძირითადი ელემენტების პერიოდული სისტემა
15. საგზაროს წარმოშობა
16. ძარტველი მემორის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი სოცრება

ერთი
ცალის
ფასი
3 ლარი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის

მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

- | | | |
|--------------------------|-----------------------------|------------------------|
| 1. მიხეილ ჯავახიშვილი | 10. იოსებ გრიგაშვილი | 19. აკაკი წერეთელი |
| 2. გიორგი ლეონიძე | 11. პულიკარე კაკაბაძე | 20. რუსთაველი |
| 3. ირაკლი აბაშიძე | 12. გურამ რჩეულიშვილი | 21. თეიმურაზ I |
| 4. ნოდარ დუმბაძე | 13. იაკოვ სუცესი | 22. ვახტანგ VI |
| 5. მირზა ბელოვანი | 14. იონა საბანიძე | 23. გიორგი მერჩული |
| 6. აკაკი ბაძრაძე | 15. დავით გურამიშვილი | 24. გრიგოლ ორბელიანი |
| 7. ვასილ ბარნოვი | 16. გენიკი | 25. დავით აღმაშენებელი |
| 8. პაულო იაშვილი | 17. რევაზ ინანიშვილი | 26. გურამ ასათიანი |
| 9. სულხან-საბა ორბელიანი | 18. ალექსანდრე შავჭავჭავაძე | 27. გრიგოლ როგაძიძე |

ერთი
ცალის
ფასი
4 ლარი

მიმდინარეობს ხელმოწერა. შემოგვიერთდით!

თითო ტომის ფასი - 12 ლარი



„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

- ვიქტორ ჰიუგო - პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი
- ემილ ზოლა - ქალთა გადნეობა
- ალექსანდრე დიუმა - კავკასია
- ფიოდორ დოსტოევსკი - მკვდარი სახლის ჩანაწერები
- ჰენრი რაიფორ ჰაბარდი - მონტესუმას ასული
- სტენდალი - წითელი და შავი
- ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
- ჯონათან სვიფტი - გულივერის მოგზაურობა
- ერის მარია რემარკი - საში მებრძოარი
- შოქოლადო დე ლაკლო - სახიფათო კავშირები
- ალექსანდრე ვუშკინი - მოთხრობები
- შტაფან ცვაიგი - მოუთმენლოზა გულისა
- მინ რიდი - კვარტარონი
- ვილჰელმ ჰაუფი - ლისტენშტაინი
- თეოდორ დრაიზერი - დანიკო კერი
- ნიკოლაი გოგოლი - რჩეული მოთხრობები

- მარბარტ დიურასი - საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან
- ალბერ კოენი - დედაჩემი
- ჯონ გოლდსმითი - რჩეული მოთხრობები
- პროსპერ მერიმე - იღელი ვენერა
- უ. სომერსეტ მოემი - ჭრელი საბურველი
- ჯონ ბრაინი - გზა ელიტისაკენ
- ჯეკ ლონდონი - დიდი სახლის პატარა დიასახლისი
- გუსტავ ფლოპერი - მაღამ გოვარი
- ონორე დე ბალზაკი - მამა გორიო




კომენტარული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი თამაზ ვასსაძე
11 ლარი
9 ლარი



ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი
თამარ ბეროზაშვილი
10 ლარი

გამოცემლობა „ლიოგენსა“ და გაზეთ „ახალი განათლება“ სპეციალური პროექტი




მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია
45 ლარი
35 ლარი




საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია
30 ლარი
26 ლარი




ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია
40 ლარი
30 ლარი



ილია ჭავჭავაძე, ორთომეული
16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი
5.70 ლარი



„რა არის რა“ 50-ტომეული ერთი ტომის ფასი ნახვლად 11 ლარისა 9 ლარი

- ◆ მსოფლიოს 7 საოცრება
- ◆ ავტომობილი
- ◆ ამინდი
- ◆ დიდი აღმოჩენები
- ◆ ხალხთა დიდი გადასახლება
- ◆ გამომგონებები
- ◆ განძის ძიება
- ◆ გლადიატორები
- ◆ ჩვენი დედამინა
- ◆ დრო და კალენდარი
- ◆ კველი ეგვიპტე
- ◆ ევროპა
- ◆ ვიკინგები
- ◆ კოჰაბი
- ◆ კრიმინალისტიკა
- ◆ გათემბიტიკა
- ◆ მცენიერებები
- ◆ მსოფლიოს რელიგიები
- ◆ ქველი რთვი
- ◆ ქველი საბარქმეთი
- ◆ საგურბი
- ◆ უღაბნი
- ◆ უკველესი ადამიანები
- ◆ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ◆ ფიზიკა
- ◆ ჩაქირული ქალაქები
- ◆ ქიმიკა
- ◆ მეკობრეები
- ◆ ოლიმპიური თამაშები
- ◆ მთები
- ◆ ჯანსაღი კვება
- ◆ არქიტექტურა

ქართველი მწერლები

- ◆ ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-V ტომი, - 11 ლარი
- ◆ მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი - 11 ლარი
- ◆ ლევან გომთუზ (7-ტომეული), I-II ტომი - 16 ლარი
- ◆ ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი - 15 ლარი
- ◆ კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, VI, VII, VIII ტომი - 16 ლარი, IV-V ტომი - 18 ლარი
- ◆ რევაზ ინანუშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი - 12 ლარი
- ◆ ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-VI ტომი - 12 ლარი
- ◆ გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-V ტომი - 12 ლარი
- ◆ ოტია იოსელიანი (10-ტომეული), I-X ტომი - 12 ლარი
- ◆ თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი - 10 ლარი
- ◆ გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-V ტომი - 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე: მიმღები - შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735 ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22 შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!



მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტატილაშვილის ქ. №3 ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073, 577 132283. www.axaliganatleba.ge

E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735 ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X



9 772233 386008 >